საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი დიმიტრი ალექსიძე /სიითი№0007/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 17.11.2022

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: - №098/22

საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ ლოლა კურკუმულის /სიითი№4720/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ ლოლა კურკუმულისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2022 წლის 17 ნოემბერს საჩივრით მომართა ადვოკატმა დიმიტრი ალექსიძემ და მოითხოვა ადვოკატ ლოლა კურკუმულისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო 2023 წლის 26 ივნისის ეთიკის კომისიის დისციპლინურ სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლიდან სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში, განიხილება მისი სარჩელი, ნედა ახვერდოვას მიმართ, რომლის ინტერესებსაც იცავენ ადვოკატები - ვახტანგ ცხომელიძე და ლოლა კურკუმული. მომჩივანის განმარტებით, ლოლა კურკუმულმა, საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ღია სასამართლო პროცესზე (საქმე №2/4646-22) მის საწინააღმდეგოდ, გაავრცელა მცდარი, გამოგონილი ფაქტები, რამაც შელახა მისი პატივი-ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოპასუხე ადვოკატმა ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, მოსამართლისთვის, მცდარი ინფორმაციის მიწოდებითა და მომჩივანის პირადი შეურაცხყოფის გზით, შეეცადა ეჭვქვეშ დაეყენებინა მისი ნათქვამის სანდოობა, რაც, მომჩივანის განმარტებით, ადვოკატისთვის უღირსი საქციელია. მომჩივანმა, ფაქტის დასადასტურებლად საჩივრის ავტორმა 2022 წლის 17 ნოემბერს საჩივარს თან დაურთო სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ღია სხდომაზე ადვოკატმა მიზანმიმართულად გაავრცელა ცრუ ინფორმაცია, თითქოს ადვოკატი დიმიტრი ალექსიძე სამჯერ იყო მსჯავრდებული თაღლითობის საფუძველზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი „ფანტაზიის ნაყოფის საფუძველზე, მოითხოვდა არ დაკმაყოფილებულიყო მისი სარჩელი“. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატის ქცევა არ შეესაბამება პროფესიულ ეთიკას და ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ლოლა კურკუმულს 2022 წლის 28 ნოემბერს გაეგზავნა საჩივარი. ადვოკატს მიმდინარე საჩივარზე არ წარმოუდგენია წერილობითი ახსნა-განმარტება, ის ჩაერთო როგორც, საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 26 იანვრის, ასევე განხილვის კოლეგიის 2023 წლის 26 ივნისის ის სხდომაზე და ზეპირად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, საჩივართან დაკავშირებით.

2.2 ლოლა კურკუმულმა განმარტა, რომ სასამართლო სხდომაზე განხორციელებული მისი ქმედება, საქმის წარმოების სტრატეგიის ნაწილი იყო და კლიენტის უშუალო მოთხოვნიდან მომდინარეობდა. ადვოკატის განმარტებით, მან „ბატონი დიმიტრის სანდოობის თვალსაზრისით“, სასამართლოს განუცხადა, რომ მომჩივანი არაერთხელ იყო ბრალდებული თაღლითობისთვის და შესაძლოა მსჯავრდებულიც, რაზეც საჩივრის ავტორს სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას არ გამოუთქვამს პრეტენზია და ამასთან, მას გავრცელებული ცნობები, სხვადასხვა სასამართლო სხდომაზე თავადაც ჰქონდა დადასტურებული.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მას არ ჰქონდა რაიმე ისეთი დოკუმენტი, რომელიც დიმიტრი ალექსიძის თაღლითობისათვის მსჯავრდებულობის ფაქტს დაადასტურებდა. ამ ინფორმაციას ადვოკატი მისი კლიენტისაგან ფლობდა და თავად კლიენტის უშუალო მითითება იყო, რომ სასამართლოსთვის ცნობილი ყოფილიყო აღნიშნული ფაქტები.

2.4 ადვოკატის განმარტებით, დიმიტრი ალექსიძემ, სასამართლო დავაში, მხოლოდ ზეპირი ახსნა განმარტება წარმოდგინა, მასსა და ნედა ახვერდოვას შორის არარსებული შეთანხმების დასადასტურებლად, ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ საპროცესო კანონმდებლობა, მხარის ახსნა-განმარტებას, მტკიცებულების ძალას ანიჭებს, ზემოთ მოყვანილი ფაქტების სასამართლოსთვის გაცნობა, სწორედ მომჩივანის არასანდოობის ხაზგასასმელად გაკეთდა, რაც კლიენტის მოთხოვნიდან მომდინარეობდა და ჯდებოდა საქმის წარმოების სტრატეგიაში. ამასთან, ადვოკატმა ხაზი გაუსვა, რომ მას საჩივრის ავტორისთვის შეურაცხყოფის მიყენების განზრახვა არ ჰქონია. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ადვოკატი მიიჩნევს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

3.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

3.1.1 ადვოკატმა ლოლა კურკუმულმა, ადვოკატი დიმიტრი ალექსიძის მიმართ, საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 მარტის სხდომაზე განაცხადა: „კანონიერ ძალაში შევიდა გადაწყვეტილებები, სადაც ბატონი დიმიტრი ჩემი ინფორმაციით, არის მსჯავრდებულად ცნობილი...“; „თქვენ არა ერთხელ იყავით თაღლითობის მუხლით მსჯავრდებული ასევე გენერალურ პროკურატურაში არის ღია საქმე... სადაც იგივე მუხლზეა თქვენს შესახებ საუბარი... ფურიანაების საქმეზე მე ვარ ჩართული და არის ჩვეულებრივად მიმდინარე საქმე და დიმიტრი ალექსიძე იქ არის მოაზრებული ერთ-ერთ პიროვნებად, რომელსაც მომავალში შეიძლება ბრალი წაუყენონ.“

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი ახსნა-განმარტებები;
2. საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 მარტის სხდომის ოქმი.
3. ეთიკის კომისიის 2023 წლის 26 ივნისის სხდომის ოქმი.

3.1.2 ლოლა კურკუმულმა საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 მარტის სხდომაზე განაცხადა: „არავითარ შემთხვევაში ახლა ჩემი ტექსტი არ ითვალისწინებს მხარის შეურცხყოფას... ვინაიდან ახსნა განმარტება მხარის არის ერთ-ერთი მტკიცებულება, ჩემთვის მნიშვნელოვანია რომ მხარის სანდოობის შესახებ სასამართლოს ჰქონდეს ინფორმაცია...“ „მე ეს ყველაფერი იმიტომ განვაცხადე, რომ ახსნა განმარტება მხარის სანდოა თუ არა სასამართლოსთვის, აი ამ მტკიცებულებაზე მემსჯელა და არა იმიტომ, რომ თქვენი გულისწყრომა გამომეწვია“.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი ახსნა-განმარტებები;
2. საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 მარტის სხდომის ოქმი.
3. ეთიკის კომისიის 2023 წლის 26 ივნისის სხდომის ოქმი.

3.1.3 საქმეში წარმოდგენილი არ არის, დიმიტრი ალექსიძის მიმართ, არც ბრალდების შესახებ დადგენილება და არც სასმართლოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი გადაწყვეტილება, თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი ახსნა-განმარტებები;
2. თიკის კომისიის 2023 წლის 26 ივნისის სხდომის ოქმი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლოლა კურკუმულის მიერ დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.1 მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 5; 7 და 10.1 მუხლები.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმეში წარმოდგენილ მასალებს, მოისმინა მხარეთა პოზიციები და დაადგინა, რომ ადვოკატმა ლოლა კურკუმულმა საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 მარტის სხდომმაზე გაკეთებული განცხადებით, დაარღვია პროფესიული ქცევის შემდეგი ნორმები:

> ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1).
>
> კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 5 მუხლი).
>
> ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 7 მუხლი).
>
> ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 10.1 მუხლი).

5.1 კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას, ადვოკატი შებოჭოლია კანონითა და პროფესიული ქცევის წესებით. კლიენტის წარმომადგენლობისას, ადვოკატს უფლება არ აქვს გააკეთოს არაგონივრული და არაეთიკური განცხადებები. პროფესიის

კორპორაციული არსიდან გამომდინარე პროფესიის თვითრეგულირებადი ხასიათი, ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, საკუთარი ქცევით ხელი შეუწყოს პროფესიის პრესტიჟსა და განვითარებას. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატისთვის, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთ-ერთი პროფესიის წარმომადგენლისთვის, უპირატესად გასათვალისწინებელია კანონიერებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა. შესაბამისად, ადვოკატმა თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებისას - კლიენტის ინტერესების დაცვისას, საადვოკატო მომსახურეობა უნდა განახორციელოს კანონისა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში. მნიშნელოვანია, რომ ადვოკატმა უზრუნველყოს კლიენტის მხოლოდ კანონიერი ინტერესების, კანონიერი საშუალებებით დაცვა და მიუხედავად ადვოკატის პროფესიის მთავარი მიზნისა, რაც სპეციალური ცოდნის მქონე პირის მხრიდან, კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურბის გაწევას გულისხმობს, კლიენტის ინტერესები არ დააყენოს, კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმებზე მაღლა.

5.2 საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება შეიზღუდოს, სხვათა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატები სრულად სარგებლობენ აღნიშნული უფლებით, მათ ეკისრებათ, როგორც სიტყვისა და გამოხატვის უფლების ზოგადი წესით დადგენილი შეზღუდვის დაცვის ვალდებულება, ასევე, ადვოკატთა პროფესიული რეპუტაციისა და საერთო კორპორაციული ინტერესების უზრუნველყოფა. სწორედ, კორპორაციული ინტერესების დაცვა და საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გაღრმავება არის ის ძირითადი მიზანი, რის გამოც ადვოკატებს, სხვა პირებისაგან განსხვავებით, გამოხატვის თავისუფლების უფრო შეზღუდული ფარგლები გააჩნიათ.

5.3 კოლეგიალობის პრინციპი, ნეგატიური ვალდებულების ძალით აკისრებს ადვოკატს კოლეგის შეურაცხყოფისგან თავის შეკავების მოვალეობას, ხოლო პოზიტიური ვალდებულების ძალით, მოითხოვს მისგან კოლეგის მიმართ ღირსეული, ურთიერთპატივსაცემი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მიუხედავად აღნიშნული პრინციპით მისაღწევი, საერთო კორპორაციული ინტერესისა, კოლეგიალობის პრინციპის დაცვის პოზიტიური ვალდებულება, ადვოკატებს შორის დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში, კარგავს აქტუალურობას და კონფლიქტში მყოფ პირებს სავალდებულო ძალით ვერ სთხოვს ერთმანეთის მიმართ, დადებითი, ურთიერთპატივსაცემი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამის საპირისპიროდ კოლეგებს შორის კონფლიქტური ურთიერთობის ჩამოყალიბების შემთხვევაში, პოზიტიური ვალდებულების მოქმედების შემცირების პროპორციულად, იზრდება კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ნეგატიური ვალდებულების ფორმა და კონფლიქტში მყოფი ადვოკატებისგან, გამკაცრებულად მოითხოვს, კოლეგიალობის პრინციპის დაცვას. კერძოდ, კოლეგიალობის პრინციპი მოითხოვს, ადვოკატებმა შეინარჩუნონ ერთმანეთის

მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება და საგნობრივად, პირადი შეურაცხოფისა და დამცირების მიზნის გარეშე, პროფესიული დასაშვები კრიტიკის უფლების ფარგლებში, გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და გაავრცელონ მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში გადამოწმებული და სწორია.

5.4 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის განმარტებას, რომლის მიხედვითაც თაღლითობის ფაქტი თავის მხრივ, ისეთ ინფორმაციას წარმოადგენს, რომელიც მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას და ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, იძლევა მათი გადამოწმებისა და სიმართლის დადგენის შესაძლებლობას. ფაქტისგან განსხვავებით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ადვოკატს თავისი პოზიციის ფაქტის სახით ფორმულირებისას, ევალება მისი გადამოწმება და სწორი ინფორმაციის გაჟღერება, მით უფრო მაშინ, როდესაც ინფორმაცია კოლეგის რეპუტაციას შეეხება. თაღლითობა არის საკუთრების უფლების წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური დანაშაული, რომელიც დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით. პირისთვის თაღლითური ქმედების უსაფუძვლო ბრალდება და ამით ირიბად მისი „თაღლითად“ შერაცხვა, მიემართება სუბიექტის არამართლზომიერი და არაკეთილსინდისიერი მახასიათებლების ხაზგასმისკენ, რაც საზოგადოებაში პირის სანდოობას ჩრდილქვეშ აყენებს. უდანაშაულობის პრეზუმციის მოქმედების ფარგლებში, პიროვნებისთვის თაღლითური ქმედების ჩადენის ბრალდება, მიემართება სუბიექტის შეურაცხყოფისა და მისთვის იმგვარი პიროვნული მახასიათებლების მიმაგრებისკენ, რომელიც საზოგადოებაში უარყოფითად აღიქმება და ლახავს პირის პატივსა და ღირსებას.

5.5 „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

5.6 განხილვის კოლეგიის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატ ლოლა კურკუმულის მიერ გაკეთებული განცხადება თავისი შინაარსით, ფორმითა და კონტექსტით, პროფესიული კრიტიკის უფლების გათვალისწინებით შეფასდეს, რათა

დისციპლინური წარმოების პროცესში დაცული იყოს ადვოკატის როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

5.7 საჩივარის ავტორმა წარმოდგინა სასამართლო სხდომის ჩანაწერი, სადაც ასახულია ლოლა კურკუმულის მიერ, სხდომაზე გაკეთებული სადავოდ გამხდარი განცხადება, რომლითაც ის დიმიტრი ალექსიძეს, სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეში, თაღლითობის ფაქტზე, ბრალდებულად და მსჯავრდებულად მოიხსენიებს.

5.8 ადვოკატმა ლოლა კურკუმულმა, საქალაქო სასამართლოს სხდომაზე განაცხადა: „კანონიერ ძალაში შევიდა გადაწყვეტილებები, სადაც ბატონი დიმიტრი ჩემი ინფორმაციით, არის მსჯავრდებულად ცნობილი...“. „თქვენ არა ერთხელ იყავით თაღლითობის მუხლით მსჯავრდებული ასევე გენერალურ პროკურატურაში არის ღია საქმე... სადაც იგივე მუხლზეა თქვენს შესახებ საუბარი... ფურიანაების საქმეზე მე ვარ ჩართული და არის ჩვეულებრივად მიმდინარე საქმე და დიმიტრი ალექსიძე იქ არის მოაზრებული ერთ-ერთ პიროვნებად, რომელსაც მომავალში შეიძლება ბრალი წაუყენონ.“

5.9 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის მოსაზრებას და ადგენს, რომ მოპასუხე ადვოკატის მიერ, თავისი კოლეგის, სისხლის სამართლის საქმეში, თაღლითობის მუხლით, ბრალდებულად ცნობის დაუზუსტებელი ფაქტების გაჟღერება, თუნდაც მისი კორექტული ფორმით ფორმულირებისა, მიზნად ისახავდა მომჩივანის, „თაღლითად“ შერაცხვის გზით, პიროვნების დისკრედიტაციას. ადვოკატს სრული უფლებამოსილება ჰქონდა ეჭვქვეშ დაეყენებინა პირის მიერ გაკეთებული განცხადება, თუმცა აღნიშნული ლეგიტიმური საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების შესაბამისი ფორმით უნდა მომხდარიყო. განცხადების არასანდოობის დამტკიცების მიზნით, კოლეგის პიროვნებისთვის „თაღლითისთვის“ დამახასიათებელი უნარ-ჩვევების მიმაგრება, რომლებიც უარყოფითად აღიქმება საზოგადოებაში, ვერ იქნება მიზნის მიღწევის ეთიკური საშუალება. ადვოკატი კოლეგის პიროვნების დისკრეტიდაციით შეეცადა სასამართლოსთვის, შეექმნა მომჩივანის არაკეთილსინდისიერი, არამართლზომიერი პიროვნების სახე, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა, მის სანდოობას და სადაოდ გამხდარი ფაქტის ირგვლივ მის მიერ გაკეთებულ ახსნა-განმარტებას, რაც თავად ადვოკატის მიერ, საქალაქო სასმართლოში გაკეთებული განცახდებიდან და ეთიკის კომისიისთვის მიცემული განმარტებიდან დგინდება. ადვოკატი მსგავსი ქმედებით გასცდა სასამართლოში საქმის წარმოების კანონიერი, ეთიკური სტრატეგიის ფარგლებს და კოლეგას მიაყენა პიროვნული შეურაცხყოფა. კოლეგია განმარტავს, რომ უდანაშაულობის პრეზუმციის გათვალისწინებით, ადვოკატის აღნიშნული ქმედება, სათანადო მტკიცებულებების გარეშე, რომელებიც თავის მხრივ განცხადებას ფაქტად გარდაქმნიდნენ და მისი შეფასების უფლებას სასამართლოს დაუტოვებდნენ, მიზნად ისახავდა კოლეგის დისკრედიტაციას.

5.10 რაც შეეხება ადვოკატის მიერ გაკეთებულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც სასამართლო სხდომაზე განხორციელებული მისი ქმედება, საქმის წარმოების

სტრატეგიის ნაწილი იყო და კლიენტის უშუალო მოთხოვნიდან მომდინარეობდა, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეთიკური ვალდებულებათა დაცვის ფარგლებში კლიენტის ინტერესების დაცვა, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს კლიენტის მხოლოდ კანონიერი ინტერესების, კანონიერი საშუალებებით დაცვა, რაც გამორიცხავს პროცესის მონაწილის, რომელიც ამავდროულად ადვოკატია, თაღლითად მოხსენიებას, მხოლოდ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ეს ინფორმაცია ადვოკატს კლიენტმა გაუზიარა. ადვოკატს, რომელიც სპრეიალური ცოდნის მქონე პირია და რომლისთვისაც ცნობილია ადამიანის დაცვის, ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტიის, უდანაშაულობის პრეზუმციის შესახებ, საერთო კორპორაციული ინტერესი არ აძლევს შესაძლებლობას, კოლეგის მიმართ გაავრცელოს გადაუმოწმებელი ფაქტები. ლოლა კურკუმულს ეკისრებოდა ვალდებულება გონივრულობის ფარგლებში გადაემოწმებინა, კოლეგის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია და მხოლოდ ამის შემდეგ გაეკეთებინა მსგავსი ფორმის განცხადება.

5.11 შედეგად კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ლოლა კურკუმულმა სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განცხადებით, სადაც მომჩივანი ადვოკატი დიმიტრი ალექსიძე არაერთხელ მოიხსენია თაღლითად, დაარღვია კოლეგიალობისა და კანონიერი, ეთიკური საშუალებებით კლიენტის წარმოდგენის ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 5, 7, 10.1)

5.12 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი გარემოებაა, როგორც უშუალოდ დაინტერესებული პირისთვის მიყენებული ზიანის ხარისხის განსაზღვრა, ასევე ადვოკატის ქმედებით, თავად პროფესიისთვის მიყენებული ზიანის იდენტიფიცირება და მათი პრევენცია

5.13 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

5.14 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის,

შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

5.15 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს, ეთიკის კომისიის დადგენილ პრაქტიკიას, რომელიც გამყარებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ. კერძოდ, ეთიკის კომისიის 2023 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილებით საქმეზე N092/22, მოპასუხე ადვოკატს პასუხისმგებლობის ფორმად გაფრთხილება განესაზღვრა. ადვოკატმა საკუთარ კოლეგას, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული საჯარო პოსტით, თაღლითურ ქმედებაში დასდო ბრალი, ისე, რომ მას არ ჰქონია მსგავსი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2023 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე Nსსდ-05-23) უცვლელი დატოვა ეთიკის კომისიის 2023 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილება და გაიზიარა, განხილვის კოლეგიის მსჯელობა, რომლის მიხედვითაც, უდანაშაულობის პრეზუმციის მოქმედების ფარგლებში, ადვოკატის მხრიდან, კოლეგისთვის თაღლითური ქმედების ჩადენის ბრალდება და ამ საფუძვლით მისთვის „თაღლითის“ წოდება, პირდაპირ მიემართებოდა სუბიექტის შეურაცხყოფისა და მისი პიროვნებისთვის იმგვარი პიროვნული მახასიათებლების დისკრედიტირებისკენ, რომელიც საზოგადოებაში უარყოფითად აღიქმება.

5.16 ასევე, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს, ეთიკის კომისიის 2019 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებაზე, (საქმეზე N033/18), სადაც ეთიკის კომისიამ პასუხისმგებლობის ფორმად, მოპასუხე ადვოკატის მიმართ, ასევე გაფრთიხლება განსაზღრა, მაშინ, როდესაც ადვოკატმა კოლეგას ირიბად, თაღლითი უწოდა. განხილვის კოლეგიამ განმარტა, რომ ადვოკატის განცხადება არ გამომდინარეობდა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან და ობიექტური აღქმის საფუძველზე სცდებოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

5.17 დადგენილი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კოლეგისთვის შეურაცხყოფის მიყენება, კონკრეტულად კი მისთვის „თაღლითის“ წოდება, არღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს და საერთო კორპორაციული ინტერესიდან გამომდინარე ეთიკის კომისია საჭიროდ მიიჩნევს, პასუხისმგებლობის ფორმად, მისი ეფექტურობისა და პრევენციული ხასიათის უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვროს გაფრთხილება. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლოლა კურკუმულისთვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ვერ იქნება ქმედითი, რადგან, ერთსი მხრივ დადგენილი პრაქტიკა მიუთითებს, გადაცდომის პროპორციული პასუხისმგებლობის ფორმად, გაფრთხილების განსაზღრაზე, ხოლო თავად საქმის ფაქტებიდან აშკარაა, რომ ადვოკატი, ლოლა კურკუმული არ ითავისებს და ნანობს საკუთარ საქციელს, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს პროფესიის სტატუსს. კერძოდ,

განხილვის კოლეგია ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საერთო პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, მიუხედვად კომისიის მცდელობისა ადვოკატებს შორის შემდგარიყო შეთანხმება, ადვოკატმა ლოლა კურკუმულმა, უაპელაციოდ განაცხადა უარი მხარეებს შორის დავის შეთანხმებით დასრულებაზე და განხილვის კოლეგიის 2023 წლის 26 ივნისის სხდომაზე მოპასუხე ადვოკატი, მიუხედავად საპროცესო ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებით განმარტებული ქმედების გადაცდომად მიჩნევის საფუძვლებისა, კვლავ დარჩა საკუთარ პოზიციაზე. ადვოკატმა მხარი დაუჭირა მის განცხადებას, რომლითაც მან კოლეგა „თაღლითად“ მოიხსენია, მაშინ როდესაც ადვოკატისთვის, საპროცესო ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებით, ცნობილი იყო კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულებულებისა და მის მიერ გაკეთებული განცხადების ურთიერთშეუსაბამობის თაობაზე. შედეგად, დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზნებიდან გამომდინარე, სარეკომენდაციო ბარათი, რომელიც ადვოკატისთის, იმგვარი გარემოებების ახსნასა და მითითებას ისახავს მიზნად, რომელიც მისთვის ხშირ შემთხვევაში გაუგებარი ან/და ბუნდოვანია, ვერ იქნება იმ მსუსხავი ეფექტის მატარებელი, რომელიც გათვალისწინებულია არაეთიკური ქმედებების პრევენციის მიზნით.

5.18 რაც შეეხება ადვოკატის მიერ გაკეთებულ განმარტებას, განცხადების მოტივთან, მის საჭიროებასა და საპროცესო მიზანთან დაკავშირებით, კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის აღნიშნული განცხადებები ვერ გახდება დისციპლინური პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, რადგან საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებით ადვოკატ ლოლა კურკუმულისთვის ცნობილი იყო, რომ განცხადების მოტივი და მიზანი, არ აქარწყლებდა განცხადების ძირითადი შინაარსის ნეგატიურ და არაკოლეგიალურ კონტექსტს. განხილვის კოლეგია იზიარებს, საპროცესო კოლეგიის მსჯელობას რომლის მიხედვითაც, კლიენტის მითითება და მისი ინტერესების უზრუნველყოფა არ ამართლებს ლოლა კურკუმულის მიერ კოლეგის შეურაცხყოფას. ლოლა კურკუმულს, როგორც ადვოკატს ევალებოდა კლიენტის კანონიერი ინტერესების, კანონიერი საშუალებებით დაცვა.

5.19 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ ლოლა კურკუმულს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

5.20 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №098/22 ადვოკატ ლოლა კურკუმულის /სიითი №4720/ მიმართ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/

I დისციპლინური კოლეგიის წევრის - ეკატერინე გეწაძის

განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე, საქმე №098/22

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების - ეთიკის კომისიის პირველი საპროცესო კოლეგიის წევრების მიმართ, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება ადვოკატ ლოლა კურკუმულის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების და სახდელის სახედ გაფრთხილების განსაზღვრის თაობაზე (საქმე №098/22) და წარმოგიდგენთ განსხვავებულ აზრს მოცემული საქმის სამართლებრივ შეფასებასა და შედეგთან დაკავშირებით.

ძირითადად ვიზიარებ კოლეგების სამართლებრივ შეფასებას ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებთან, ისევე როგორც კოლეგიალობის პრინციპის დაცვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. განსხვავებული აზრის ჩამოყალიბება ძირითადად განპირობებულია სახდელის პროპორციულობის საკითხზე განსხვავებული მოსაზრების ქონით.

პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი გარემოებაა, როგორც უშუალოდ დაინტერესებული პირისთვის მიყენებული ზიანის ხარისხის განსაზღვრა, ასევე ადვოკატის ქმედებით, თავად პროფესიისთვის მიყენებული ზიანის იდენტიფიცირება და მათი პრევენცია, აგრეთვე მიმაჩნია, რომ მხედველობაში არის მისაღები თავად ის მოტივები, რაც გააჩნდა ადვოკატს კონკრეტული გადაცდომის ჩადენისას და ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი გადაცდომისადმი. როგორც არის კიდევაც მოხმობილი ზემოთხსენებულ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015). განხილვის კოლეგიაში საქმის განხილვის დროს არ გამოკვეთილა, რომ ადვოკატ ლოლა კურკუმულის მიერ ჩადენილია ისეთი დისციპლინური გადაცდომა ან გადაცდომები სხვა დისციპლინური წარმოების ფარგლებში, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის ეთიკური ვალდებულების დარღვევას. იდენტური გადაცდომის არქონის, თავად ადვოკატის საქმიანი და მორალური რეპუტაციის კომპონენტის მხედველობაში მიღების ფაქტის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ განსახილველ საქმეზე ადვოკატის დისციპლინირების შედეგად გამოსაყენებელი სწორი და გადაცდომის ხარისხთან

თანაზომიერი, პროპორციული სამართლებრივი ღონისძიება იქნებოდა ადვოკატისადმი კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, მით უფრო ადვოკატს თავად სადავო განცხადებების გაკეთების დროსაც (სასამართლო საქმისწარმოების ფარგლებში, 2022 წლის 31 მარტის სხდომაზე) გაცხადებული ჰქონდა, რომ მის მიზანს არ წარმოადგენდა

პროცესუალური მოწინააღმდეგისათვის შეურაცხყოფის მიყენება, არამედ ადვოკატის მიზანი იყო, რომ პროცესუალური მოწინააღმდეგის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტების (ერთ-ერთი მტკიცებულების) გაქარწყლება მოეხდინა საკუთარი ახსნა-განმარტებით და სადავო ფრაზები გამოიყენა მისი პიროვნების სანდოობის წარმოსაჩენად, თუმცა გასაზიარებელია ეთიკის კომისიის წევრების, ჩემი კოლეგების შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული საშუალება არ იყო შესაბამისი ადვოკატის ეთიკურ სტანდარტებთან და ადვოკატს შეეძლო იგივე მიზნის მიღწევა სხვა, ეთიკური სტანდარტის და ვალდებულებების შესაბამისი ფრაზეოლოგიის გამოყენებითაც.

ასევე ვერ იქნება გაზიარებული ჩემი მხრიდან განსახილველ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2023 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების (საქმე Nსსდ-05-23) მოხმობა, ვინაიდან ხსენებულ საქმეში არ ყოფილა გამოკვეთილი ის, რომ ადვოკატმა სადავო ფრაზა/შეფასება გამოიყენა კლიენტთან შეთანხმებით, კლიენტის ინტერესებში, როგორც საქმის წარმოების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, განსხვავებულია ასევე ის მოცემულობაც, რომ სადისციპლინო პალატის მიერ განხილულ საქმეში სადავო შეფასება/ფრაზა გავრცელებული იყო სოციალური ქსელით, იყო საჯარო და ხელმისაწვდომი გაცილებით ფართო აუდიტორიისადმი, ვიდრე მოცემულ საქმეში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ პროცესის მონაწილე სუბიექტები და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, რაც შესაძლოა ასევე ახდენდეს გავლენას კოლეგისათვის დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გზით მიყენებული ზიანის მოცულობასა და მასშტაბზე.

ყველა ზემოთაღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღებით, ვფიქრობ, რომ ადვოკატისადმი კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიცემით სრულად იქნებოდა შესაძლებელი დისციპლინური სამართალწარმოების მიზნის მიღწევა.

ეკატერინე გეწაძე

კოლეგიის წევრი